ქართული აზრი
GEORGIAN OPINION

№ 44 ნიუ-იორკი. ივნისი 1961 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, JUNE 1961

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რომელნათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრაჰამ ლინკოლნი. 1865 წ.

საბჭოთა კავშირის სპეციალისტები ჯერ კი დევ ბჭობენ და ცდილობენ ამოიცნონ, თუ რა მიზანი ჰქონდა 1956 წლის თებერვალში ხრუშჩოვის ანტისტალინურ გამოსვლას და რატომ დაესხა თავს თავის მკვდარ ლიდერს და მასწავლებელს?

საბჭოთის „მკაცრი“ ლიდერის განგვრგვინების ტეკსტი კი „მისტერიული“ გზით ხელში ჩაიგდო ამერიკის სათანადო უწყებამ.

თუ კრემლინოლოგებისათვის ამოუცნობი დარჩა ხრუშჩოვის თავდასმა სტალინზე, ასე ვე ამოუცნობია ხრუშჩოვის სიტყვის ტეკსტის დასაელეთში გავრცელება. ტოტალიტალური წყობილებისათვის, და კერძოთ ბოლშევიკურისათვის საიდუმლოს შენახვა მთავარი საკითხია. როგორც თვით ხრუშჩოვის მოხსენებიდან სჩანს სტალინს შეეძლო თურმე მთელი მოსახლეობა ისე ამოეწყვიტა, რომ ამის შესახებ დასავლეთს არაფერი სცოდნოდა. სწორედ ამ გარემოებამ დაუმსახურა „რკინის ფარდას“ „სიჩუმის ფარდის“ სახელიც. საბჭოეთიდან ხმა ან ცნობა გამოდის, რომელიც მდგომარეობის ბატონებისაგან ნება დართულია. მაშ როგორ მოხდა, რომ ხრუშჩოვის „ყოველად საიდუმლო“ მოხსენება —ტალინის დამნაშაური და ველური მოქმედების შესახებ—თავისუფალ ქვეყნებში გამოვიდა?

ამის პასუხი ერთად-ერთია: სტალინის განგვრგვინება და „საიდუმლო მოხსენების“ რკინის ფარდის აქედ გამოსვლა და მისი ტეკსტის „მისტერიული“ გზით ფაქიზუფალ ქვეყნებში გავრცელება—კრემლს შეერთვით, მისი საიდუმლო პოლიციის აგენტებს წყალობით მოხდა და ხრუშჩოვს უკიდურესი პირადი ვიეანის განპაროვება ჰქონდა ძალიან. ეს ხრუშჩოვმა თავისუფალ კაცობრიობის თავისი თავი უცოდველ ბატონად და ევოლუციური კომუნიზმის ლიდერად გაიცნო. თავისუფალი სამყაროს მიამტმა მოაზროვნეებმა ხრუშჩოვის ეს ფანდი ხალას ბაჯაღლოთ მიიღეს და მის „შეიდობიან თანაარსებობას“, „საყოველთაო განიარაღებას“ და „დაძაბულობის შენელებას“ მას შემდეგ ღეჭავენ და პოლიტიკურ აფრად აორევენ.

სტალინის განგვრგვინების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და მოსკოვისადმი ყველაზე კეთილად განწყობილი დასავლეთელიც კი და რწმუნდა, რომ ხრუშჩოვის ამ ახალ პოზაში მოვლინება ვერ დაამყარებს მსოფლიოში უში შარსა და მშვიდობიან ცხოვრებას. რადგან „მსოფლიო კომუნიზმის კაპრიზებში“ მრავლათ არის ჩაქსოვილი რუსული იმპერიალიზმის უკანონო და გაუმართლებელი ამბიციები. კრემლინოლოგების მთავარი შეცდომა მოსკოვის პოლიტიკის არ არსებულ „მსოფლიო კომუნიზმთან“ დაკავშირების ცდაა. ცხადია მსოფლიოში მრავლად მოიძებნება მოსკოვის დამხმარე ორგანიზაციები და პიროვნებები. უზარმაზარი საბჭოთა რუსეთის იმპერიის თითქმის მეილი ეკონომიურ-ფინანსიური სალსარი საჯაშეში საქმიანობას ხმარდება და მთელი თავისუფალი სამყარო დასერილია შინაგან გამყიდველ ჯაშეებით და მეხუთე კოლონებით. ამის მოსკოვი ხან „მსოფლიო კომუნიზმის“ სახელით ანხორციელებს და ხან კი რუსული ნაციონალიზმის და „დიდი რუსის ერის“ ბრწყინვალე მომავლის რწმენით. ამიტომ არის, რომ მოსკოვის მშვიდობის პოლიტიკას მუდამ თან ახლავს ძალ-მომრეობის და დაპყრობის ფაკტები, რომლებიც ქმნიან ახალი ომის საშიშროებას და კაცობრიობა დაუსრულებლივ ცხოვრობს ომის ფსიქოზით. თანამედროვე რუსეთის შფოთიანი პოლიტიკის ასახსნელად არა კმარა ლენინ-სტალინ-ხრუშჩოვის ბუნების, ან კრემლის დღეანდელი დიპლომატიის შესწავლა. ამისათვის საჭიროა საბჭოთა კავშირის სპეციალისტებმა შეისწავლონ, თუ რა პირობებში ჩაისახა რუსული სახელმწიფო. ან რა დაედო მას საფუძველად. ან რა დაისახა მან მიზნად. მაშინ ნათელი გახდება თანამედროვე რუსული დიპლომატიის მეფის რუსეთის იმპერიის აგრესიულ პოლიტიკასთან ორგანიულ კავშირი და ისიც, თუ რატომ ასე ხშირად ემთხვევა კრემლის ს

გარეო პოლიტიკას რუსული ემიგრაციის ზრა ხვები. ამ მიზეზების შესწავლა და მისი გათვალისწინება დასავლეთელ მეამიტ მოაზროვნეს მისცემს აზროვნების საღ მიმართულებას და მათ გაუადვილებთან რუსულ დიპლომატიაში ქარაგმების ახსნა, რომელიც მათ ასე სწყურიათ და რომელსაც ისენი ვერ ახერხებენ.

უკანასკნელ ათ წელიწადში რუსეთმა დაინიმმა მთელი კაცობრიობა და ქვეყნიერების ამა თუ იმ კუთხეში განუწყვეტლივ იღერა ბა სისხლი. თუ კინგო, ლაოსი და კუბა „ადგილობრივი“ საკითხეია და ეს მხოლოდ ცივი ომის გაძლიერების ერთი პირობათაგანი—ბერლინი ან გარემოდან გამოდის და კაცობრიობას ახალი ომის საფრთხის წინაშე აყენებს.

ნათელია, რომ ბერლინის საკითხი ფლობს საერთაშორისო გარემოებას და აქ დასავლეთს უკან დასახვეი და დასათმობი არაფერი აქვს. როდესაც რუსები აცხადებენ, რომ შეუძლებელია არსებული მდგომარეობის გაგრძელება ბერლინში—ჩვენის მხრიდან იმასვე ვიტყვით, მაგრამ სულ სხვა მიზნით. ჩვენის აზრშენითაც შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ ომის დამთავრების თხუთმეტი წლის შემდეგ მოკავშირეები არავითარ გარდაწყვეტილებამდე არ მივიდნენ და გერმანიის განაწილებას, ხოლო მისი დედაქალაქის ოთხ ზონად გაყოფას ბოლო არ მოუღეს.

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ქალაქი, რომლის მოსახლეობა ორ მილიონს აღე მატება, გაყოფილი იყოს ორ მტრულ ბანაკად და შიგ დაუსრულებლივ იდგეს უცხო ჯარი. მართალია ეს მდგომარეობა პარადოქსალურია. მაგრამ საჭირო აღინიშნოს, რომ მაინც ამ მდგომარეობამ შეუნარჩუნა კაცობრიობას ის მოჩვენებითი ზავი, რომლითაც ჯერ-ჯერობით კიდევ ვცხოვრობთ. ამ გარემოების შეცვლა, ბერლინის სტატუტის გამოცვლა მოსპობს უკანასკნელ ილუზიას და მოჩვენებითი ზავიდან აშკარა ომში ჩავეფლობით. ეს იცის მოსკოვმაც და ამიტომაც აქვს შემონახული ბერლინის საკითხი საფრთხობელად. მოსკოვმა ისიც იცის, რომ არსებულ გარემოცვაში ბერლინის საკითხის მოსკოვისებურად გადაჭრა დაუყონებელი ომია, რაც კაცობრიობის გონებას აფრთხობს და რაზედაც რუსეთი თავის შინაგანი ვითარების გამო არასოდეს არ წავა. მაგრამ მაინც ის ამ ცეცხლს ეთამაშება—ეთამაშება დასავლეთის ორგანიზაციის სუსტი ხაზების გამოსაძებნად და მოკავალეთა ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ დასაყენებლად.

უკანასკნელად ხრუშჩოვმა კვლავ შესთავაზა დასავლეთს ბერლინის საკითხის გადაჭრა. მისი აზრით, ქალაქიდან უნდა გავიდეს უცხო ჯარი და იგი „თავისუფალ ქალაქად“ გამოცხადდეს. თავისუფლება მეტად თვალწარმტაცი ტერმინია, მაგრამ აქ მთავარ როლს თამაშობს თუ ვინ, რისა და რა ხასიათის თავისუფლება? პირველი ომის შემდეგ ვერსალმა დანციგს შესთავაზა თავისუფლება და ეს „თავისუფლება“ შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის საბაბად.

საბჭოთა კავშირის დღევანდელი პროგრამით ორათ გაყოფილ ერთი ერის დედაქალაქი უნდა გადაიქცეს „თავისუფალ ქალაქად“. ამას წინ უნდა უსწრებდეს მოკავშირეთა მიერ გერმანიის ორივე ნაწილის ცნობა. დასავლეთისთვის კი მთავარი საკითხია გერმანიის გაერთიანება ხალხის ნება-ყოფლობითი არ ჩვენების ნიადაგზე. დასავლეთს არ შეუძლიან გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილის და მისი ე. წ. ხალხურ-დემოკრატიული მთავრობის ცნობა, რადგან ის ხალხის დაკითხვით არ მოსულა ხელისუფლებაში; რადგან ის უცხო ძალის ძალდატანების ნაყოფია. პანკოვის რესპუბლიკის ცნობა დადასტურება იქნება გერმანიის სამოლოო გაყოფის და მის აღმოსავლეთ ნაწილში რუსების დაუსრულებელი ბატონობის. ამას ცხადია ვერ შეურიგდება ვერც დასავლეთელი მოკავშირეები და მით უმეტეს ვერ შეურიგდება უკვე ფეხზე დამდგარი და ხალხის ნება-სურვილით განმტკიცებული

ხრუშჩოვის სამეურნეო მიღწევები.

მას შემდეგ რაც რუსულმა „სპუტნიკმა“ სივრცეში დაიწყო ფრენა, რუსელმა ბოლშევიზმმაც ფრთები შეისხა და, მასთან ერთად იწყო მსოფლიოს კიდიდან კიდემდე ნავარი. ამ ფსი ქოლოგიური მომენტით თავაშვებულ ხრუშჩოვმა თავიანი თავი მსოფლიოს ბატონ-პატრონად წარმოიდგინა და თავისი ნამდვილი ბუნება მსოფლიო ორგანიზაციებში დაუფარავად გამოჩენა.

მოსკოვის საგარეო პოლიტიკის აგრესიულობას თან მოჰყვა ხრუშჩოვის ყალთაბანდური ტრაბახი:—ამ შვიდ წლეში სასოფლო სამეურნეო დარგში რუსეთი დაეწევა ამერიკას. ხოლო მეორე შვიდ წლედში კი მას გადავასწრებთო. ეს იყო საბჭოთა კავშირის დამონებული მოქალაქის მიმართ ტირანის მიერ ახლად გაცემული კონცესია, რათა მას კიდევ პირი დაუმეწოს და მონური შრომის ჭაპანი დიდ ხანს აწევინოს. ვინც საბჭოეთის ცხოვრებას და მის ევოლუციას თვალს ადევნებს, მისთვის ნათელი იყო, რომ ხრუშჩოვის ახალი აგრიკულტურული გეგმა ისევე არარაობით დასრულდებო და. როგორც მისი წინამორბედები. აქ დამნაშავეა კომუნისტური სტრუკტურა, რომელიც ადამიანის ინიციატივას და მის შემოქმედებას უნარს ბოჭავს და არა პიროვნება, რომელიც ამა თუ იმ გეგმას ამუშავებს. ადამიანის ინიციატივის ჩახშობა, მისი სახელმწიფოს მიერ მონაო ქცევა დაპირუტყვეულ მდგომარეობამდე დაყვანა. სპობს შემოქმედებით უნარს და საპრობაგანდო მიღწევების გარდა (რომელსაც ორასზე მეტი მილიონი საბჭოთა მოქალაქის ძალა და ენერგია ეწირება) არაფრის მთქმელი არაფრის შემქმნელია. ეს წინასწარ იცის საბჭოთა იერარქიის ყოველმა საფეხურმა და ამიტომ იძულებულია დაბალმა მაღალი მოტაყუოს, რომ „გეგმა ასი, ან ორასი პროცენტით შესრულებულია“-ო, ხოლო რადგან ტყუილი ქვა ყანას ვერა ვვებავს და ვერ აძლევს და წლის ბოლოს გეგმით გათვალისწინებული სურსათის არც მოითხედი სჩანს, ამიტომ იწყება „დამნაშავის ძებნა და მისი დასჯა“.

ასე ხდებოდა მრისხანე ულვაშას დროს. ასე გრძელდება მისი განმგვირგვინებელი ნიკიტას ეპოქაშიც და ასე გაგრძელდება დაუსრულებლივ. იიორი რუსეთი არ დაუბრუნდება ადამიანის წამახალისებელ კერძო ინიციატივას.

საბჭოთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყრილობაზე ხრუშჩოვმა სტ ალინური მრისხანეობი განაცხადა: ვინც არ უნ და იყოს და რა თანრიგის მოხელეც არ უნდა იყოს ახალი სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის ჩაშშლელი, მაინც მკაცრად დაისჯებიო.

სიტყვა ეხება იმ სასოფლო სამეურნეო პოლიტიკას, რომელიც ხრუშჩოვმა თავისი აფსოლუტური გაბატონების შემდეგ დაიწყო.

ნორმალურ მდგომარეობაში ხრუშჩოვის მუქარის პასუხი ადეილი იქნებოდა: ეკონომიური პოლიტიკის ჩაშლის მიზეზი ის სისტემაა, რომელსაც ნორმალური განვითარების ბაზა არა აქვს და თანტაზიაზეა დაშენებული. მაშასადამე ხრუშჩოვის მიერ საძებნი სავარაუდო დამნაშავე თვით ხრუშჩოვია, რომელიც ციცხლი თა და მახვილით ავალდებულებს თავის ხელქვეითებს ფანტაზიიდან შექმნან რეალური ეკონომიური შემოქმედება. მაგრამ საბჭოთა კავშირში დამნაშავე მხოლოდ ხელქვეითია და მართალი მხოლოდ დიკტატორი! ვერავინ გაბედავს დიკტატორს უთხრას, რომ ახალი აზრი კულტურული გეგმის უნაყოფობა მის მიერ მოცემული ფანტაზიური საფუძვლის ბრალია და ეს მისი განუქვრეტელობის შედეგია. ტოტალიტარული მმართველობის სისტემა ამგვარ შენიშვნას ვერ იტანს. სტალინმა მთელი თავისი ხელქვეითები მოსპო და გაანადგურა და ყოველი გეგმის ჩაშლის გამო თავები აყრევინა. სტალინის სიკვლის შემდეგ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტის წევრების „ანტიპარტიული“ ჯგუფი ხრუშჩოვმა არ დახვრიტა, მაგრამ მას გარკვეული და კარგი გაფრთხილება მიეცა და მას შემდეგ ერც ერთ მათგანს ხმის ამოღება აღარ გაუბედია. სულ ორი წელიწადიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მოქალაქეს უკვე აქვს პირველი მოთხოვნილების საგნები თითქმის იმავე რაოდენობით, რამდენიც ამერიკელს, ხოლო ახლო მომავალში მას გადავასწრებთო. ამ განცხადების დროს მას უსათუოდ მხედველობაში ჰქონდა „უამირი მიწების“ გამოყენების გაწზრახვა და მისი შემოსავლით გავსებული საბჭოთა ბეღელი.

კრემლის ბატონებს ბრწყინვალე ილუზიები მალე მწარე სინამდვილეთ შეეცვალათ. 1958 წელ საბჭოთა აგრიკულტურის უკანასკნელი კარგი წელი იყო. ამ პერიოდმა ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმის ნახევარზე ცოტა ნაკლები მისცა. მაგრამ დაიწყო 1959 წ. შვიდ წლედი. ხრუშჩოვის განცხადების თანახმად პირველი წლის შემოსავალით უნდა გასწორებ ოდნენ შეერთებული შტატების მოქალაქის ცხოვრების დონეს. სწორედ ამ წელს დაიწყო საბჭოთა სასოფლო მეურნეობის უფრო დაცემა. (1958 წ. სახელმწიფომ მიიღო 141.2 მილიონი ტონა ხორბალი, 1959-ს კი 125.9 მილიონი) 1960 წელს შემოსავალი გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ მისი სავალალო შედეგები ნათელია, ვინაიდან სასოფლო სამეურნეო წარმოების მინისტრი ნოვიკოვი გასული დეკემბრის 29-ს უკვე თანამდებობიდან მოხსნილი იყო. თავის უკანასკნელ სიტყვაში ნოვიკოვი აღნიშნავდა, რომ ამ წლის შემოსავალი გასულისაზე ნაკლები არ არის, თუმცა აღიარებდა, რომ „გასულ წელთან შედარებით გამოსაყენებელი მიწების რაოდენობა შვიდი მილიონი ჰექტარით გაიზარდა“-ო. თუ კი შემოსავალი „გასულ წელზე ნაკლები არ არის“ ცხადია შვიდ მილიონ ჰექტარის შრომას უქმად ჩაუვლია. თუ ნოვიკოვს დაუჯერებთ, რომ შვიდი მილიონი ჰექტარის დამატებით დაახლოვებით იმავე რაოდენობის ხორბალი მიუღია სახელმწიფოს, რომელიც გასულ წელს, მაშინ რით აიხსნება ხრუშჩოვის მუქარა სასოფლო სამეურნეო სამინისტროს მოხელეების მიმართ? თუმცა ორივე შემთხვევა ხრუშჩოვის სასოფლო სამეურნეო გეგმის ჩაფუშვას ამეღავნებს და ამერიკის მოქალაქის ცხოვრების დონის გათანაწყობრობიდან ჯერ კიდევ შორს არის უბედო ბედში მყოფი საბჭოთა მოქალაქე.

ნოვიკოვის განცხადებით „ხორცის მომარაგებასაც დიდი დაპრკოლებები ჰქონია“ და გათვალისწინებული რაოდენობის მიღებიდან ძალიან შორსა ყოფილან.

აგრიკულტურის სამინისტროს მაღალი მოხელეები თავს იმართლებენ „ატმოსფერულო“ მოტივებით. მათი მტკიცებით „1960 წელი განსაკუთრებით ცხელი, ან ცივი იყო და ამან შეუშალა ხელი მოსავლიანობას“-ო. მართალია კრემლის მრისხანება ჯერ კიდევ უძლურია და იმორჩილოს ატმოსფერო და მაშინ მოიყვანოს წვიმა, როცა წვიმაა საჭირო და მაშინ გამოიყვანოს მზე, როცა მზეა საჭირო და ამაში ბარალს ვერავინ დასდებს ვერც საბჭოთა ტრუკტურას და ვერც მის მოხელეებს, მაგრამ ჩვენის აზრით გეგმის შეუსრულებლობას და საბჭოეთის სასოფლო სამეურნეო კრიზისს სხვა მიზეზებიც აქვს.

ამერიკელი სპეციალისტების აზრით უამირი მიწების გამოყენება პირდაპირ ხორბლეულობისათვის, სწორედ კლიმატური მოსაზრებითაც, შეუძლებელია. ამავე სპეციალისტების აზრით საჭირო იყო ყაზახისტანის და უკრაინის უდაბნოებში ჯერ მცენარეულობის გაშ-

ბინის რესპუბლიკა. აქ სიმართლე კმ უკანასკნელთა მხარეზეა. გერმანიის არა ბუნებრიეი მდგომარეობა უნდა დასრულდეს, გერმანელი ერი უნდა გამრთელდეს და მიეცეს შესაძლებლობა თვითონ წარუძღვეს თავის ცხოვრებას და თავის გუნებ-განწყობილების და ტრადიციების მიხედვით მართოს საკუთარი ქვეყანა.

ამის უარყოფა—უარყოფა და დაგმობაა თავისუფლების პრინციპის, რომელსაც კრემლი დემაგოგიურად ხშირათა ხმარობს, მაგრამ ამ გზას ვერ გაჰყვება თავისუფალი დემოკრატიული სამყარო, რომლისთვისაც თავისუფლებისადმი ლტოლვა ყოველი ერის ღვთით ბოძებული უფლებაა.

**„ეროვნული ინტერესი“ ამ ბოლოს ... ეროვნული ინტერესი ... ეროვნული ინტერესი ... ეროვნული ინტერესი

სიმართლე ოგბერლენდერის შესახებ

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი„-ს 43 ნომ.)

ქართულ პოლიტიკურ წრეებს სწორედ ასეთ გერმანელებრან ჰქონდათ ურთიერთობა და არა ჰიტლერის ნაცისტურ ბანდიტებთან.

მეორე: ჩვენის აზრით გერმანია მთელ მსოფლიოს ვერ მოერეოდა და თუ პოლიტიკას არ გამოსცვლიდა უეჭველად დამარცხდებოდა. მეორე მსოფლიო ომი საბოლოოდ შეიძლება ისე დამთავრებულიყო, როგორც პირველი. ე. ი. იქნებ ომის წაგებამდე გერმანიას რუსეთი დაემარცხებინა, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვებოდა. მესამე მოსაზრება იყო, რომ თუ არც პირველი და არც მეორე ვარაუდი არ გამართლდებოდა, სტალინს მიერ მოღალატედ გამოცხადებულ ხალხს ტყვეთა ბანაკებში უსულურათ ჯდომას და მაშინმილით სიკვდილს ის სჯობდა, რომ ქართველები შეიარაღებულნი და გაწვრთნილნი დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. ეს მათ საშიალებას მისცემდა სამშობლოს და საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს ინტერესები უკეთ დაეცვათ და თუ გერმანია ჰიტლერულ ალმოსავლურ პოლიტიკის გატარებს მოინღომებდა საქართველოში, მას ქართველი ერი და მისი შეიარაღებული ძალა სიტყვით, საქმით და იარაღით შეებრძოლებოდა, სხვა თავისუფლებისთვის მებრძოლ ერებთან და დასავლეთის დე მოკრატიასთან ერთად. ქართული ლეგიონების ერთად-ერთი დანიშნულება საქართველოს ინტერესების დაცვა იყო.

ს. წიკლაურის „ძველი“ ემიგრანტებისადმი სიძულვილი ჩემთვის სრულებით გაუგებარი დარჩა. საუბარში მას ხშირით უმტკიცებდი, რომ „ძველ“ და „ახალ“ ემიგრანტებ“ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. რომ „ძველებმა“ სამშობლოს სიყვარული წლების გა ნმავლობაში გულში ატარეს და ქართველი ხალხის ცხოვრების გამჯობინებას ცდა არ დაკარლეს. ომი დაწყებისთანავეც გერმანიას მოაშორეს, რომ საქართველოს, ქართველ ტყვეებს და ლეგიონერებს დახმარებოდნენ. ჩემის აზრით მათ მიერ წარმოებული ბრძოლის ტაიგა ცია, დასავლეთის პირობების და ენების ცოდნა, ჩვენ „ახალ“ ემიგრანტების სუსტ მხარეებს შეავსებდა. მეორე მხრივ ჩვენთან დაახლოვებით ისენიც თანამედროვეს საქართველოს პირობებს უკეთ გაეცნობოდნენ. სიმონი ამაში არ მეთანხმებოდა და როგორც მიამბო მისი პირველი შეხვედრა ემიგრანტებთან მეტად არა სასიამოვნო პირადი კონფლიკტით გათავებულიყო.

1941-42 წლის ზამთარში აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელების შეჩერებამ ს. წიკლაური, სხვებთან ერთად, გერმანელების გამარჯვებაში დიდათ შეაეჭვიანა და მის მოქმედებაში ამანაც ერთგვარი როლი ითამაშა.

ჩვენთან ერთად ყოფნის მოლო დღეებში ს. მონმა თავისი სიზმარი მიამბო: „პაპაჩემი გამომეცხადა და მითხრა, შვილო ნუ ჯავრობ მე წამომყევი და გზას გიჩვენებო“. ეს სიზმარი მას ძალიან აწუხებდა, რადგან „ასეთი რამ წინათ არასდროს დამსიზმრებიაო“. აღმათ სიზმრის მოყოლის ძველი მთიულური ჩვეულება კიდევ შერჩენილი ჰქონდა.

შალვა ტაბიძესთან პირადათ არ მისაუბრია და მას ძალიან ეოცტათი ვიცნობდი. სხვების აზრით და გადმოცემით ის იყო ოპორტუნისტი ეშმაკი და მოხერხებული კაცი. გერმანელების ჯარში პირადი სარგებლიანობის თვალსაზრისით შევიდა, რადგან ამ დროს გერმანია წინ მიიწევდა და გამარჯვების შანსები ჰქონდა, ხოლო ომის წაგების შესაძლებლობა რომ დაინახა, თავის გადასარჩენათ კომუნისტური ორ განიზაცია შეადგინა და სიმონ წიკლაურიც მან ჩაიყარა ამ საქმეში.

შეთქმულებაში დაახლოვებით სამოცამდე ქართველი იყო ჩათრეული, და არა მარტო ისენი, არამედ მთელი ნაწილი დიდ საფრთხეში ჩავარდა. როგორც ზემით მოვიხსენიეთ გერმანიის მთავრობა ასეთ სამხედრო ნაწილებს უამისოთაც ძალიან არა სიმპატიურად უყურებდა. ისენი სამხედრო ფუწყების მიერ იქმნენ შედგენილი ჰიტლერის სანქციის გარეშე. ობერლეიტენანტ ობერლენდერს სახიფათო შეთქმულების სავსებით დამალვა არ შეეძლო, მაგრამ შეეცადა მისი მნიშვნელოვნა შეემცირებინა და მისი უშუალო წყალობით და რამოდენიმე ქართველის მოხერხებული ჩარეკით 12 კაცზე მეტი სამხედრო სასამართლოსათვის არ გადაუციათ და მონაწილეთა უმრავლესობა ნაწილში დატოვეს თავდებობის ქვეშ.

გაზეთმა „სამშობლოში“ დაბრუნებისათვის“ იქნება აკვიხსნას თუ წითელ ჯარში მსგავსი შეთქმულებისათვის, ომიანობის კი არა, მშვი დობიანობის დროსაც ამ სამოცი ქართველიდან რამდენი დარჩებოდა ცოცხალი?

სასამართლოში გადაცემულ 12-თა შორის იყო წიკლაური და ტაბიძეც.

უკანასკნელად სიმონ წიკლაური ვნახე სამხედრო სასამართლოში, რომელიც რამოდენი მე დღე გაგრძელდა და სადაც მრავალ მოწმეთა შორის მეც ვიყავი დაბარებული ერთი დილის სხდომისათვის. სასამართლოს თავმჯდომარე მე შემეკითხა: 1-ლი—თუ ს. წიკლაური ვიცნობდი და რა დამოკიდებულებაში ვიყავი მასთან? უპასუხე: მას ვიცნობდი. ვცხოვრობდით ერთ ოთახში და ვიყავი კარგ დამოკიდებულებაში. 2-რე: რას ეფიქრობდი ს. წიკლაურის მი ერ წარდგენილ სამხედრო გეგმაზე? უპასუხე: ჩემის აზრით გეგმა კარგი იყო და მასში არაკვითარი „ლაკუნის“ ნიშნწყალი არა ჩანს. 3-მე: რა იცი ამ შეთქმულებაზე? უპასუხე: შეთქმულებაზე არაფერი ვიცოდი, ვიდრე ბატალიონნის უფროსმა ბ.-ნმა ობერლენდერმა არ მიამბო ამის შესახებ და მოგვიანებით ეს ხელ მეორეთ მოვისმინე ზურგაშვილისაგან, რომელიც ბატალიონის უფროსმა დაიბარა თარჯიმან ქართველთან ერთად. მან შეთქმულების ამ ბავი ჩემი და თარჯიმნის თანადასწრებით გაიმეორა მე განვაცხადე, რომ წიკლაურს ჩემთვის შეთქმულების შესახებ არაფერი უთქვამს. იგი სწუხდა გერმანელების მიერ აღმოსავლეთ დაპყრობილ ტერიტორიებზე მომხდარ ზოგ გაუგებრობების და შეცდომების გამო. აქ სასამართლოს თავმჯდომარემ განმარტება მო მთხოვა. უხერხული მომენტი შეიქმნა. მე მინდოდა გერმანელების აღმოსავლეთის პოლიტიკას შეეხებოდი, რამაც ჩემის აზრით ს. წიკლაური, და სხვებიც, ამ ზომამდე მიიყვანა. მაგრამ ამ დროს ბატალიონის უფროსმა ობერლენდერმა სთხოვა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ ამის შესახებ მოგვიანებით თვითონ მისცემდა განმარტებას. ობერლენდერმა უეჭველად უკეთ იცოდა საქმის ვითარება და მისი აზრით სამხედრო სასამართლოში ამის შესახებ ოფიციალური ლაპარაკი მდგომარეობას დიდათ გაართულებდა მთელი ბატალიონისა. თვის. აქვე უნდა ითქვას, რომ ჰიტლერის დაკოხის აღმოსავლეთის პოლიტიკის შეურგებელი კრიტიკის გამო, დაპყრობილ ტერიტორიებზე მოსახლეობის და ტყვეების დაცვისა. თვის 1943 წლის ობერლენდერი გერმანული ჯარიდან გარიცხეს და დაუპატიმრეს. მაგრამ ამის შესახებ ქვემოდ.

სიმონ წიკლაურს სასამართლოში თავი მშვიდათ და ვეფაცაცურად ეჭირა. შეთქმულების არც ერთი წევრი არ დაუსახელებია და არავი სათვის ბრალი არ დაუდეია. შ. ტაბიძეს თავის დაჭერა კი სულ სხვანაირი იყო. სხვათა შორის მან განაცხადა, რომ შეთქმულებას მიემხრო, რათა მათი საბოლოო გეგმები ზუსტად გაეგო და შემდეგ გერმანელ სამხედრო უფროსებისათვის ეცნობებინა და თავის საბოლოო სიტყვაში გერმანელებს მომავლისათვის თავისი ერთგული სამსახური შესთავაზა.

როდესაც ღილის სხდომა გათავდა მე სიმონ წიკლაურთან მივედი, რომელიც დარაბაზის წინა რიგში იჯდა. მას ხელი ჩამოვართვი და უთხარი: ბატონო სიმონ, გული მიკვდება რომ ასეთ მდგომარეობაში გხედავ. თანაც ასეთ უსირცხვილო კაცის გვერდით (ტაბიძეზე მიუთითე) მჯდომი. სიმონმა მითხრა: „გავი, გახსოვს ჩემი სიზმარი რომ გიამბე პაპაჩემზე? ხედავ როგორ ამიხდაო?“ ამის გამგონე, ისედაც შეწუხებული, უფრო შევწუხდი და სასამართლოს დარბაზი დავტოვე.

სასამართლოდან გამოსული ვფიქრობდი ზო ერეულ საქართველოს მთების პატარა სოფელ-ს, სადაც სიმონი გაიზარდა და პატარაობაში პაპამისის ზღარებს უსმენდა. „ეჰ სოფელო რა შიგან ხარ“? როგორი რთული და უბედური იყო ჩვენი ერის წარსული, რამდენი გზა სც ადა მისმა შვილებმა სამშობლოს დასაბრკოლებლად და რთული ვითარებიდან დაუზარალებლად გამოსაყვანად.

ს. წიკლაურსა და პირადათ ჩემ შორის სამშობლოს სიყვარულში კი არ ყოფილა განსხვავება, არამედ გზებში, რომელიც ჩვენ ავარჩიეთ. იგი ერეკლე მეფის გზას დაუბრუნდა. რომელიც სახელმწიფო მმართველობის სიბრძნით აღჭურვილ მეფისათვისერთად-ერთი გამოსა-

ბრუშჩოვის სამეურნეო მიღწევები.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე).

ნება ეცადათ, რაც ნაწილობრივ გვალვასაც შეაჩერებდა. ხრუშჩოვის გეგმა ამას არ ითვალისწინებდა და შედეგიც ლოღიკური მიიღო. ამ შემთხვევაში შესაძლენ არა მიწის დამუშავებელი გლეხები, არამედ პრაკტიკულ ცოდნასა და დაკვირვებას მოკლებული მთავრობა და დამონებული მიწის მუშა უვიც მთავრობას და ემორჩილა.

მაგრამ გარდა ამ ტექნიკური მოსაზრებებისა საბჭოთა კავშირის სასოფლო სამეურნეო კრიზისს უფრო ღრმა მიზეზები აქვს. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ადამიანის ბუნებრივი მისწრაფება, რომ იშრომოს და ნაშრომი [illegible] ეკუთვნოდეს და არა ვინმე სხვას; ფეოდალს, მემამულეს, ან სახელმწიფოს. როგორც ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირში ხდება. რამდენათაც მეტად დაიცვა კრემლმა მიწის კოლეკტიური წარმოების სისტემა, იმდენით ნაკლები შემოსავალი მიიღო.

1955 წელს მალენკოვს ეყო გამბედაობა და აღნიშნა, რომ „საბჭოთა მოქალაქის ზორცის ულუფა უფრო ნაკლებია, ვიდრე 1913 წელს იყო“-ო.

მაგრამ ხრუშჩოვი, რომელიც სტალინის უახლოესი თანამშრომელი იყო უკრაინაში კოლექტივიზაციის გამო ჩატარებული წმენდებისა, არც ეხლა ინდობს დამონებულ გლეხობას და მისგან მონური შრომით მოითხოვს მის მიერ ქალაღზე გამოანგარიშებული შემოსავლის მაქსიმუმის მიღებას.

(აქვე უნდა აღვნიშნოდ ერთი მომენტი, რომელიც ნიკიტას სრული უვიცობის მაჩვენებელია. ჩეკის საპრობაგანდო ორგანო „სამშობლოს ხმა“-ს თებერვლის ნომერი გვაცნობებს! რომ ნიკიტას ჩვენი ქვეყანა გაუბედნიერებია და დიდ „მასწავლებელს, ბრძენს და ქკვის კოლოფს კახელი გლეხებისათვის ურჩევია: ვეკახები ფერმერებზე შეთესეთ და დაბლობის სიმინდისთვის გამოიყენეთო. იცის თუ არა ნიკიტამ, რომ ვენახი და ვაზის მოვლა ერის მაღალ კულტურულობის მაჩვენებელია და ათასულ საუკუნეების მაბძილზე გაწვრთნილი გლეხობის რიაზანის და ტამბოვის გუბერნიების გლეხი ვერას ასწავლის?)

დღეს ხრუშჩოვი დამნაშავის ძებნაშია და „ყოველი თანრიგის მოხელეს“ სასტიკად უპირებს დასჯას, ვინც დამნაშავე აღმოჩნდება. საქართველოს ყოველი გლეხისათვის კი ცხადია, რომ დამნაშავეა ხრუშჩოვის მიერ გაბატონებული სოციალ-პოლიტიკური წყობა, რომელიც ცხოვრებისაგან ფატალურად განწირულია და, ამიტომ, ფაქტიურათაც მას თანა სდევს შიმშილი, სიღატაკე და გაჭირვება.

ი. მენთეშაშვილი.

რუსული დიპლომატიის გუნება, ზნე და ფსი.

„უმაღლეს საბჭოს“ წინაშე გრომიკოს სიტყვა, სხვა არაფერი იყო, თუ არა მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირს შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი მიაჩნია იმ პიროვნებათ, რომელთანაც შესაძლებელი იქნება „გონიერი“ მსჯელობა და ამიტომ საბჭოთა რუსეთის და შეერთებული შტატებ შორის ურთი ერთობა გამოსწორდება. გრომიკოს აზრით, სწორედ ეს „გონიერება“ აკლდა აიზენჰაუერის ადმინისტრაციას და ამან გახადა შეუძლებელი რო სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება.

ცხადია გრომიკოს ანგარიშში დღეს არ შედის გაიხსენოს ხრუშჩოვ-ბულგანინის „ღიმილის პოლიტიკის ეპოქა“ და არც ის, რა გარემოებათა წყალობით გაუარესდა ამ ორ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა. მას შემდეგ მაინც, რაც ტრუმანის ერა „ლიბერალმა, ლმობიერმა და რუსეთის იარაღის მეგობარმა გენ. აიზენჰაუერმა“ შესცვალა. ამის წყალობით ენერვეაში საფუძველი ჩაეყარა ამ ორ სახელმწიფოს „მეგობრობას და მშვიდობიანი თანაარსებობის“ მყარ პოლიტიკას.

იმ დროს, ტრუმანის შემდეგ, აიზენჰაუერის გამოჩენა ისეთსავე იმედებს ქმნიდა რუსულ დიპლომატიაში, როგორც დღეს აიზენჰაუერის შემდეგ კენედის მოვლინება. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ძველებური, ყალბი ენტუზიაზმით აცხადებს „მზათა ვართ გავაუმჯობესოთ ჩვენი ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან მისი ახალი პრეზიდენტის მოვლინების გამო“-ო

გროძიკომ თავის სიტყვაში ღრმა რწმენა და იმედი გამოთქვა, ოოდ დედოკოატი კენედი დაუთოუხდება პრეზიდენტ რუზველტის პოლიტიკას, რომლის ერთად-ერთი მიზანი იყო საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით მსოფლიოში ძმეიდობიანობის დამყარება. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუზველტი „მეტი სიმპატიით ეპყრობოდა სტალინს, ვიდრე იმპერიალისტ ჩერჩილს“-ო.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოდ, რომ საბჭოთა კავშირის მინისტრმა თავის საპროპაგანდო სიტყვაში გვერდი აუარა და არავითარი პრაკტიკული და კონკრეტული წინადადება არ მოგვცა, თუ რის მიხედვით ფიქრობს შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. არც საერთაშორისო ხასიათის დიდ მნიშვნელობის მოვლენებს შეეხო და, მაშასადამე, არც გამოსთქვა მათ შესახებ საბჭოთა კავშირის აზრი. ამის გამო დასავლეთელი პრესა გაკვირვებას გამოსთქვამს. ჩვენ კი სრულიად ბუნებრივად და ნორმალურად მოგვაჩნია გრომიკოს საპრობაგანდოთ წარმოთქმული დემაგოგიური სიტყვა.

ამ ჟამად საბჭოთა კავშირი უბრუნდება იმავე პოლიტიკას, რაც აიზენჰაუერის პრეზიდენტობის პირველ წლებში გამოამჟღავნა და რაც უფრო მკაფიოდ, თითქოს „კამპ დავითის“ სულში და ბუნებაში გამოიხატა. ე. ი. ქათინაურების და მოტყუების პოზიციას...

ამავე დროს გრომიკოს არ დაავიწყდა გაეფრთხილებინა მსოფლიო, რომ „კომუნიზმის გამარჯვება დაზღვეულია“. მისი აზრით საბჭოთა კავშირის და მისი მოკავშირეების ეკონომიური, სოციალური და მილიტარული აღმავლობა იმდენად ძლიერია, რომ რუსეთის წინააღმდეგობას შეუძლებელს ხდისო. ამ სიტყვაშიც ნათლად გამოსჭვივის ხრუშჩოვის უბადრუკი დიპლომატია. რომელიც მან მრავალჯერ თავისი „მაღალი ორატორული ნიჭით“ (ფეხსაცმელების მაგიდაზე რახუნით!) საერთაშორისო ორგანიზაციაში გამოიყენა: საბჭოთა კავშირის ძლიერების გაბერვით ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ დააყენოს თავისუფალი დასავლეთის მოსახლეობა და თავისუფლების პატიჯისმცემელი ხალხი აიძულოს საბჭოთა კავშირის დიკტატი მიიღოს.

მეორის მხრივ შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეკეთნი და მასთან „ერთიერთ ურთიერთობის“ დამყარებით საბჭოთა ლიპლომატია ოგივე. ძველ, ცნობილ მიზანს ემსახურება: დაარღვიოს დასავლეთის თავდაკავის მთლიანობა და დანაწილებულს და დასუსტებულს წარუდგის პირის-პირ. შეერთებული შტატების ცალკე გამოწვევა „ორ სახელმწიფოს შორის“ ურთიერთობის გამოსასწორებლად. სხვა არაფერია თუ არა უხეში ცდა, რათა ამერიკა მოსწყვიტოს თავის მოკავშირეებს და მისი იზოლაცია მოახდინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი შეეცდებოდა არა „ორ სახელმწიფოს შორის“ ურთიერთობის გამოსწორებას, არამედ, საზოგადოთ, დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. რადგან შეერთებულ შტატებზე ნაკლებ არ არიან ჩართული ამ მოვლენებში არც საფრანგეთის, არც ინგლისის, არც გერმანიის და არც სხვა რომელიმე ატლანტიური ქვეყნების ინტერესები. ამისათვის კი საჭიროა საერთაშორისო პრობლემების არა დემაგოგიურად გადაწყვეტა, არამედ ერთა ეროვნული ინტერესების დაცვით და პატივისცემით.

თუ რუსეთს მართლა მშვიდობა და ზავი სწყურია, უპირველეს ყოვლისა მან ხელი უნდა აიღოს ამ პროვოკაციულ პოლიტიკაზე, რომელსაც ის მთელ მსოფლიოში აწარმოებს. ხელი უნდა აიღოს აფრო-აზიურ ერების ფსიქოლოგიურ და მილიტარულ შეიარაღებაზე, რომელიც დასავლეთის წინააღმდეგ არის მიმართული და რომელიც მსოფლიოში ახალი ომის ფსიქოზს ქმნის და აღრმავებს.

კენედის ეპოქა, რომელსაც თავიდანვე ეწო და „ახალი საზღვარი“, არ დაწყებულა დასავლეთისათვის და კერძოდ შეერთებული შტატებისათვის შემამუხტვებელი მოვლენებით. რუსეთი ძველებურად განაგრძობს თავდასხმას ყოველ ფრონტზე: ლაოსში ჯერ კიდევ გრძელდება სისხლის ღვრა, კონგო მუდმივ ქაოსშია და სამოქალაქო ომის მრისხანების წინაშე. რუსეთი კვლავ აგრძელებს კუბაში „რევოლუციური“ მთავრობის შეიარაღებას და წა ხალისებს ამერიკის წინააღმდეგ, და ეს ხდება არა მალულად, არამედ ახდილად—ერგა თავისუფლების და ანტიკოლონიალური იდეის დემაგოგიური და ყალბი პროპაგანდიით.

დასავლეთის პრესამ, და წინამდებარე გაზეთმაც, მრავალჯერ აღნიშნა, რომ კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ეპოქა დასრულდა. ჩვენი დრო ერთა თავისუფლების გამარჯვების ეპოქაა და ეროვნულ-დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენებით აღინიშნება. დასავლეთის დემოკრატიულმა სამყარომ ეს შეიგნო და ნების მიერ დაემორჩილა დრო-

ᲨᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲝᲛᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲬᲧᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲠᲝᲤ. Ო. ᲖᲐ ᲚᲔᲓᲐᲡᲢᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

წარმოთქმული ოცდა ექვსი მაისის სადღ-სასწაულო კრებაზე.

ჩვენი დამოუკიდებლობის თარიღის მოახლოვებამ წინასწარ ჩამაფიქრა თუ რა ფორმა უნდა მიეცეს მის მოწყობას და რა შინაარსი უნდა ჩავდოთ შიგ. უნებლიოდ ჩაუკვირდი თუ რა რიგ ვდღესასწაულობდით ჩვეულებრივ და როგორ ხასიათს ვაძლევედით იმ ისტორიულ ფაკტს, რომელიც 1918 წლის მაისის ოცდა ექვსს წარმოიშვა. ბავშობიდან ვესწრებოდი ხალმე ამ გვარ კრებებს და მომიმსგენია მრავალი სხვა და სხვა შინაარსის ცხოველებანი. ყველა ამის გათვალისწინებამ მაგრძნობინა, რომ ოცდა ექვსი მაისის დღესასწაულს უნდა მიეცეს არა მარტო ისტორიული თა რიღის მოგონების, არამედ სხვა, ახალი ხასიათი. საჭიროთ მიმაჩნია ამ დღესასწაულს შთა ვბერით ახალი სული და მისი აღნიშვნის ახალი მიდგომა ვცადოთ.

უკვე შარშან მოვახსენე კრებას დღესასწაულის ახალი მიდგომის საჭიროება და მისი გეგმაც შევთავაზე. აუცილებლად მიმაჩნია მას კვლავ დაუბრუნდე.

ვალი იყო საერთაშორისო ვითარების იმგვარ ორომტრიალში, ხალო რომელიც მას შემდეგ თავზე დამტყდარმა უბედურობამ გარკვეულად უარყო და უკუუგდო. ჩვენ კი ალ. ბატონიშვილის გზას გავყევით—უფრო გართულებულ პირობებში. რუსეთთან ახალი ბრძოლის გზას, ჩვენი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენთ.

ამ არჩევისათვის წოკლაური გერმანელებისა გან იქნებოდა დასჯილი, ხოლო თუ ხელთ გვი ჭდებდნენ, ჩვენ რუსები უწყალოდ და ულმობელათ დაგვსჯიდნენ. იქნებ მსოფლიოში ისეთი პირობები დამყარდნენ როდისმე, რომ პატარა ერებს ასეთ სახიფათო გზებზე სიარული აღარ დასჭირდეთ დიდი ერების მტაცებლური პოლიტიკისგან თავის გადასარჩენთ და საშუალება მიეცეთ რომ მათ გვერდით თავისუფლად იცხოვრონ.

შემდეგ ჩვენი ნაწილის თარჯიმნებმა მიამბეს, რომ პროცესის დამთავრების შემდეგ არა ჩვეულებრივი რამ მოხდა: სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე გერმანელი გენერალი შეიდა ს. წოკლაურთან, ხელი ჩამოართვა და უთხრა: პატივს გცემთ თქვენი ღირსეული თავის დაჭერისათვის. ჩვენი ცნობით სასამართლოში წარდგენილ 12 კაცს უმაღლესი სასჯელი მიუსაჯეს. შეასრულეს თუ არა ეს სასჯელი ყველა თორმეტის მიმართ? ამის გაგება ვერასოდეს ვერ შევძელითო.

რა იყო ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ქართველები გერმანელებს და მათ შორის ობერლენდერს შეაბეჭდრა ამ ომის დროს? ამას შევეცდებით მომავალ წერილში შევეხოთ ასევე მიუდგომლათ და ობიექტიურათ.

გ. გაბლაინი.

წარმოთქმული ოცდა ექვსი მაისის სადღ-სასწაულო კრებაზე.

ჩვენი დამოუკიდებლობის თარიღის მოახლოვებამ წინასწარ ჩამაფიქრა თუ რა ფორმა უნდა მიეცეს მის მოწყობას და რა შინაარსი უნდა ჩავდოთ შიგ. უნებლიოდ ჩაუკვირდი თუ რა რიგ ვდღესასწაულობდით ჩვეულებრივ და როგორ ხასიათს ვაძლევედით იმ ისტორიულ ფაკტს, რომელიც 1918 წლის მაისის ოცდა ექვსს წარმოიშვა. ბავშობიდან ვესწრებოდი ხალმე ამ გვარ კრებებს და მომიმსგენია მრავალი სხვა და სხვა შინაარსის ცხოველებანი. ყველა ამის გათვალისწინებამ მაგრძნობინა, რომ ოცდა ექვსი მაისის დღესასწაულს უნდა მიეცეს არა მარტო ისტორიული თა რიღის მოგონების, არამედ სხვა, ახალი ხასიათი. საჭიროთ მიმაჩნია ამ დღესასწაულს შთა ვბერით ახალი სული და მისი აღნიშვნის ახალი მიდგომა ვცადოთ.

უკვე შარშან მოვახსენე კრებას დღესასწაულის ახალი მიდგომის საჭიროება და მისი გეგმაც შევთავაზე. აუცილებლად მიმაჩნია მას კვლავ დაუბრუნდე.

ამ არჩევისათვის წოკლაური გერმანელებისა გან იქნებოდა დასჯილი, ხოლო თუ ხელთ გვი ჭდებდნენ, ჩვენ რუსები უწყალოდ და ულმობელათ დაგვსჯიდნენ. იქნებ მსოფლიოში ისეთი პირობები დამყარდნენ როდისმე, რომ პატარა ერებს ასეთ სახიფათო გზებზე სიარული აღარ დასჭირდეთ დიდი ერების მტაცებლური პოლიტიკისგან თავის გადასარჩენთ და საშუალება მიეცეთ რომ მათ გვერდით თავისუფლად იცხოვრონ.

შემდეგ ჩვენი ნაწილის თარჯიმნებმა მიამბეს, რომ პროცესის დამთავრების შემდეგ არა ჩვეულებრივი რამ მოხდა: სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე გერმანელი გენერალი შეიდა ს. წოკლაურთან, ხელი ჩამოართვა და უთხრა: პატივს გცემთ თქვენი ღირსეული თავის დაჭერისათვის. ჩვენი ცნობით სასამართლოში წარდგენილ 12 კაცს უმაღლესი სასჯელი მიუსაჯეს. შეასრულეს თუ არა ეს სასჯელი ყველა თორმეტის მიმართ? ამის გაგება ვერასოდეს ვერ შევძელითო.

რა იყო ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ქართველები გერმანელებს და მათ შორის ობერლენდერს შეაბეჭდრა ამ ომის დროს? ამას შევეცდებით მომავალ წერილში შევეხოთ ასევე მიუდგომლათ და ობიექტიურათ.

გ. გაბლაინი.

თითქმის ყოველ ერს აქვს თავისი ეროვნული დღესასწაული. ზოგი (მაგ. შეერთებული შტატები და ბელგია) ზეიმობს თავის სახელმწიფოს დაბადების თარიღს. სხვები კი ზეიმობენ ახალი პოლიტიკური და სოციალური წყობილების დამყარებას. ბასტილიის აღების დღე საფრანგეთისათვის თავისუფლების და რესპუბლიკური წყობილების დამყარების თარიღათ იქცა. ინგლისი ირჩევს თავისი მეფის, ან დედოფლის დაბადების დღეს, რათა აღნიშნოს და იზეიმოს ბრიტანეთის კომონველტის მთლიანობა. ამ ზეიმ ყოველი ერი ზეიმობს იმას, რაც საკუთარი ეროვნულს სულისკვეთების დამახასიათებელია და რაც მისი ხალხის ბუნებას და ზნეს უფრო მეტად უდგება. თუმცა ეროვნული დღესასწაული ყოველ ერს სხვა და სხვა ფორმითა აქვს გამოვლინებული, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სხვა და სხვაობაში ერთი და იგივე საფუძველია; ეს არის ეროვნული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღნიშვნა.

დღესასწაულის მიზანია ერის სულისკვეთებაში ცოცხლად შენახოს და დაიცვას ის მსწრაფება და ძირითადი საყრდენები, რომლი თაც ხელმძღვანელობდნენ მათი წინაპრები თავიანთ შრომაში და ბრძოლებში და ამ მოგონებით გააძლიეროს და განამტკიცოს ეროვნული მთლიანობა და მომავლისადმი რწმენა

ჩვენთვის 26 მაისს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს არ შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ იმ დღეთ, როცა ჩვენ დავიბრუნეთ ჩვენი დამოუკიდებლობა, არამედ ეს ის ბედნიერი თარიღია, როცა ჩვენ გამოვამეღავნეთ ჩვენი სრული შინაგანი ერთობა და ნათელვყავით წადილი, რათა შევიძინოთ და შევინა რჩუნოთ ჩვენი ადამიანური უფლებები.

ეს თარიღი ჩვენთვის დიდი ზეიმის და სიხარულის დღე იქნებოდა, რომ არ დაგვეკარგა ის ნაინატერი რისთვისაც ვიწვოდით...

